ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №7/5

(საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში)

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2013 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია" (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად") წარმოდგენილი დირექტორის, ზურაბ ბრელიძის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიკროსკოპები (CPV 38510000) დანართი №1-ის (დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) შესაბამისად.

2. საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 იანვრამდე.
2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, გუდამაყრის ქ.№4.
2.3 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადაა – 2 წელი.
2.4. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4990 (ოთხი ათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარს.
2.5. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.
2.6. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორების ფორმა – წინასწარი.
4.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოადგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ვადაც განისაზღვრება არანაკლებ 2014 წლის 3 მარტამდე.
4.3. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება გარანტიის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.2.1. დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.3.1. პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.
5.3.2. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
5.3.3. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს კანცლერის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფი.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 მარტის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს. ხელშეკრულების მოშლის გადაწყვეტილების შესახებ ერთ-ერთი მხარე ატყობინებს მეორე მხარეს 3 დღით ადრე.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ვაჟა ფშაველას გამზ№33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სს თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22
ა/ა GE34 TB11 0000 0000 609 229

"მიმწოდებელი"

შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"
ქ.თბილისი, ივ.ჯავახიშვილის ქ.#51
საიდენტიფიკაციო ნომერი 202161640
სს პროკრედიტ ბანკი, კოდი MIBGGE22
ა/ა GE37PC0133600100046123

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

შპს „ჰუმან დიაგ[illegible] ჯორჯია"-ს დირექტორი
ზ[illegible] ბრელიძე

დანართი №1

№	დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	Humascope Light LED	ცალი	1	1080	1080
2	Humascope classic LED	ცალი	2	1555	3110
3	Color camera 5 MP	ცალი	1	800	800
	სულ:				4990

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"-ს დირექტორი
ზურაბ ბრელიძე